პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
25 აპრილი
1944 წ.
№ 84 (7028)
ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას (მოწინავე)
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 23 და 24 აპრილის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი)
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი თბილისში (1-ლი გვერდი)
თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება (1-ლი გვერდი)
მტკიცედ დავიცვათ სახელმწიფო დისციპლინა („პრავდის“ მოწინავე. მე-2 გვერდი)
საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი (მე-2 გვერდი)
სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი. (მე-2 გვერდი)
კ. დემიდოვი. მტრული პროპაგანდა პრესის თავისუფლების საფარქვეშ (მე-3 და მე-4 გვერდები)
უცხოეთის ამბები (1-ლი და მე-4 გვერდები).

მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი გამოცდილება აქვთ ჩაის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა-დამზადების გეგმებს, აძლევს ფრონტსა და ქვეყანას აუცილებელ პროდუქციას.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი **სტალინი** უდიდეს ყურადღებას აქცევენ ჩაის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მზრუნველობას იჩენენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებზე. ამ მზრუნველობის ერთ-ერთი გამოხატულებაა საკავშირო მთავრობის დადგენილება ჩაის მწვანე ფოთლის ღირებულების რამდენჯერმე გადიდების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე ჩვენი კოლმეურნეობები გაცილებით დიდ შემოსავალს მიიღებენ. ამას გარდა, გამოყოფილია სიმინდის განსაზღვრული რაოდენობა იმ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის მისასყიდად, რომლებიც კარგად შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის ჩაბარების ვალდებულებებს. ეს უდიდეს სტიმულს ჰქმნის ჩაის უხვი მოსავლის მოსაყვანად.

1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა **სტალინმა** განაცხადა: „საბჭოთა კავშირის გლეხებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე მოწინავე სოფლის მეურნეობად გარდაქმნეს ჩამორჩენილი მიწათმოქმედება, სამამულო ომის დროს გამოიჩინეს სოფლის ისტორიაში არნახული მაღალი შეგნება საყოველთაო-სახალხო ინტერესებისა. მათ ფრონტის დასახმარებლად თავდადებული შრომით ცხადჰყვეს, რომ საბჭოთა გლეხობას გერმანელთა წინააღმდეგ ახლანდელი ომი თავის საარსებო საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ომად მიაჩნია“.

დიდი ბელადის ამ მაღალი შეფასებით და წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებული კოლმეურნე გლეხობა მთელი ენერგიით მუშაობს მიმდინარე წლის ამოცანების განსახორციელებლად, ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარების გასაძლიერებლად. ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები წელს გაცილებით უკეთესად მიმდინარეობს ვიდრე შარშან.

ახლა იწყება ჩაის პლანტაციებში გაცხარებული მუშაობის დღეები. მალე მწვანე ფოთლის კრეფას შეუდგებით. ჩაის რაიონების მუშაკებმა სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბარონ. ქვეყანა ელის 50 მილიონ კილოგრამ ჩაის ძირითად ფოთოლს. მიმდინარე გაზაფხულის თავისებურება ის არის, რომ წელს ჩაის ფოთოლი გაცილებით უფრო ადრე შემოდის, ვინემ შარშან. აქედან ამოცანა — გადაჭრით გავაძლიეროთ კრეფისათვის მზადების ტემპები, მოუმზადებელს არ მოგვისწროს ჩაის ფოთოლმა.

ადგილებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები კარგად ემზადებიან ჩაის კრეფისათვის. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დროულად და ხარისხოვნად ჩაატარეს ჩაის საზამთრო გადაბარვა, ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება და ამიერმიწვნელოვანი პირობა შეჰქმნეს ბუჩქის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, ეოიმარაგეს საკმაო რაოდენობის კალათები, ყუთები, სწორად გაანაწილეს ბრიგადებსა და რგოლებში მუშახელი. კარგად ემზადებიან სალიბაურის, ლაითურის კიროვის სახელობის, ოჩხამურის, ინგირის, წალენჯიხისა და წულუკიძის საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ ყველგან ასე როდია. მოქვის საბჭოთა მეურნეობაში გააჭიანურეს საზამთრო გადაბარვა. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში არ აქვთ საჭირო რაოდენობის ყუთები. უშფათისა და ნარაზენის ჩაის ფაბრიკებში გვიანდება ყუთების შეძენა, სასწორების რემონტი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბრძოლო-სამეურნეო ამოცანაა. ამისათვის საჭიროა შრომის საუკეთესოდ მოწყობა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტება სრულად და მათი მიმაგრება ჩაის ნაკვეთებზე.

ამისათვის საჭიროა, რომ **მწვანე ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით.** რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ შემოუსვლელი ფოთლის კრეფა. ამით დიდ ზიანს ეიგაყენებთ ჩაის ბუჩქს და შევამცირებთ ფოთლის მოსავალს.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ დავაგვიანოთ ფოთლის კრეფა, რადგან ეს ფოთლის გაუხეშებას გამოიწვევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცედ დავნერგოთ ჩაის მწვანე ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, რაც მოითხოვს ბუჩქების სისტემატურად შემოვლას, დიდ დაკვირვებას და როცა ნათელი გახდება, რომ ფოთოლი ნორმალურია, მაშინ ის უნდა მოიკრიფოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით და არ დაუშვათ სხვა და სხვა ხარისხის ფოთლების ერთმანეთში არევა. აქ სერიოზული ამოცანები აკისრიათ აგრონომებს. მათ თვალყური უნდა ადევნონ ჩაის კრეფის ხარისხის დაცვას, დროულად აღკვეთონ აგროტექნიკური წესების დარღვევის შემთხვევები. ამას ისინი მაშინ შესძლებენ, როცა ჩაის კრეფის სეზონში უშუალოდ პლანტაციებში იქნებიან და ყოველდღიურ დახმარებას გაუწევენ ჩაის მკრეფავებს. ჩაის ფოთლის კრეფის დადგენა უნდა მოხდეს აგრონომის უშუალო მონაწილეობით.

ჩაის პლანტაციებში უშუალოდ უნდა მოეწყოს ფოთლის მიღება მკრეფავებისაგან, რომ სიარულში მკრეფავს დრო არ დაეკარგოს. საჭიროა კოლმეურნეობებმა ამ თვითვე იზრუნონ ტრანსპორტის სრულ წესრიგში მოსაყვანად, ფოთლის მიმღებ პუნქტებამდე დროულად გადასაზიდავად.

ჩაის პლანტაციები მოითხოვენ დიდ მზრუნველობას. გათოხნა, ჯულტივაცია — სარეველა ბალახებთან ბრძოლა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად უნდა მოეწყოს. სერიოზული მოთხოვნები აქვთ წაყენებული ჩაის ფოთლის დამამზადებელი აპარატის მუშაკებს. მათ მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული გეგმების წარმატებით შესრულება. ჩაის ფაბრიკების მიმღები პუნქტები დროულად უნდა დავაკომპლექტოთ სათანადო მუშაკებით, უზრუნველვყოთ ფოთლის დაწესებულ ვადებში მიზიდვა ფაბრიკებში. უნდა დავაწესოთ მტკიცე კონტროლი მიმღებ პუნქტებში როგორც მიღებული ჩაის ფოთლის რაოდენობისა, ისე სწორად დახარისხების საქმისადმი.

სუბტროპიკულ რაიონებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის. მახარაძელთა პატრიოტული მოწოდების პასუხად სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები მუყაითად მუშაობენ ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად. ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად ყველა პირობა არსებობს. დიდად გაზრდილია კოლმეურნეობათა დაინტერესება ჩაის კულტურისადმი. ჩვენ მოგვეპოვება შესანიშნავი კადრები, ჩაის კულტურის მოყვარული და მცოდნე ადამიანები, ჩაის კრეფის მაღალი ოსტატები. ახლა მთავარია გეგმის შესრულების ამ პირობათა მოხერხებულად გამოყენება.

დიდი **სტალინისადმი** გაგზავნილ წერილში საქართველოს კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მიაღწიონ ჩაის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, წარმატებით შეასრულოთ ამხანაგ **სტალინისადმი** მიცემული პირობა. ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ჩაის ფოთლის კრეფა.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

1944 წლის 23 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ორდენებსა და მედლებს იღებენ კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფი, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

ლენინის ორდენი გადაეცა ამხ. ვ. ვ. სიხარულიძეს, მ. ფ. ორაგველიძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცათ ამხ. ე. თ. გუდაბიძეს, ე. კ. გოგბერიძეს, ს. ი. დარჯანიას, ჭ. ა. ორაგველიძეს, ტ. მ. მიქატაძეს, ტ. ე. ტყებუჩავას, მ. ი. ჩხაიძეს.

„სპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცათ ამხ. ვ. ს. ბერაიას, ი. დ. გამყრელიძეს, ბ. პ. გვირიას, მ. ბ. გოგიას, ვ. ბ. ჯაბუას, ნ. ი. დანელიას, ი. მ. კიკალეიშვილს, ს. მ. მოქიას, ა. ს. მალაზონიას, თ. ე. სურგულაძეს, ლ. ვ. ჩხიკვიშვილს, გ. ყ. ურუშაძეს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა 16 კაცს.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცა 12 კაცს.

შრომის წითელი დროშის ორდენს იღებს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი ლ. ა. რუხაძე, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საფეიქრო მრეწველობის დარგში.

ამხ. გ. თ. სტურუამ ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა დაჯილდოებულთ.

გულთბილად მიულოცა რა დაჯილდოებულთ, მან გამოსთქვა რწმენა, რომ მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად დაჯილდოებულნი კიდევ უფრო დაძაბულ ბრძოლას გააჩაღებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ვ. სიხარულიძე (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, დღეს ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა მეტად დიდი შეიარღებები, ავიაგამანადგურებელთა მძლავრი შენაერთების თანხლებით, თავს დაესხნენ საავიაციო ქარხნებს ფრიდრიხსჰაფენში და აეროპორტებს მიუნხენის რაიონში.

როგორც რეიტერის საგენტო აღნიშნავს, ამ ოპერაციებში, დაახლოებით, 1.500 თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას.

მოკავშირეთა ჯარების გადასხმა ახალი გვინეის ჰოლანდიურ ნაწილში

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ ახალი გვინეის ჰოლანდიური ნაწილის ჩრდილოეთ სანაპიროზე. გადასხმა ხდებოდა 150 მილამდე სიგრძის ხაზზე ჰოლანდიის (იაპონელთა დიდი საბრძოლო ბაზა) პუნქტებში, აიტაპში და ტანამერის ბუხტში. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ჰუმბოლდტის ბუხტის რაიონი. გადასხმა ხორციელდებოდა გემებიდან წარმოებული საარტილერიო სროლისა და საჰაერიდან დაბომბვის საფარქვეშ. დაბომბვას აწარმოებდნენ თვითმფრინავები, რომელთაც ბაზა ავიოსნებზე ჰქონდათ. მოკავშირეთა ჯარების ზარალი უმნიშვნელოა.

სადესანტო ოპერაციები ჰოლანდიის ტერიტორიაზე განხორციელებულია მოკავშირეთა ჯარების მიერ პირველად მთელი ომის განმავლობაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 აპრილის ოპერატიული ცნობიდან

23 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

22 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 26 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

24 აპრილის ოპერატიული ცნობა

24 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

23 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 51 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძ ლვოვზე

23 აპრილს ღამით შორი მოქმედების ჩვენმა ავიაციამ დაბომბა თავმოყრილი გერმანელთა სამხედრო ეშელონები რკინიგზის კვანძ ლვოვში. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი.

ჩვენი ყველა თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

* * *

დარტყმები მტრის გემების წინააღმდეგ სევასტოპოლ-რუმინეთის ნავსადგურების კომუნიკაციებზე

შავი ზღვის ფლოტის ავიაციი ურტყამდა მოწინააღმდეგის გემებს სევასტოპოლ-რუმინეთის ნავსადგურების კომუნიკაციებზე. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის 7 ტრანსპორტი ჯარებიანად, რომელთა ესკორტირებასაც სევასტოპოლიდან გერმანელები ცდილობდნენ. ჩაძირულ ტრანსპორტთა საერთო წყალწყვა 16 ათას ტონას შეადგენს. გარდა ამისა, ჩაძირულია მოწინააღმდეგის სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი, ტორპედიანი კატერი და 3 საგუშაგო ხომალდი. მტრის რამდენიმე გემი დაზიანებულია სერიოზულად.

* * *

დუბნოს დასავლეთით მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს. პირველად გერმანელებმა მოახერხეს შეევიწროებინათ ჩვენი მეწინავე ქვეგანაყოფები და ხელში ჩაეგდოთ ორი დასახლებული პუნქტი. შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა კონტრდარტყმით განდევნეს გერმანელები ორივე დასახლებული პუნქტიდან და აღადგინეს მდგომარეობა. ამ ბრძოლაში ჩვენმა არტილერისტებმა დააზიანეს გერმანელთა 12 ტანკი და 5 ჯავშანტრანსპორტიორი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთმა ბატალიონმა გერმანელთა ქვეითმა ჯარმა ღამით გადმოლახა წყლის ზღუდე. დილით საბჭოთა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ჰიტლერელებზე და გაანადგურეს ისინი. გაქცეულია მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბევრი გერმანელი წყალში დაიხრჩო. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს გერმანელთა ლიკვიდირებული ბატალიონის მთელი საჭურველი.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ავიაცია მასირებულად ბომბავდა და იერიში მიჰქონდა გერმანელთა და რუმინელთა ჯარებზე ქალაქ სევასტოპოლის რაიონში. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სევასტოპოლის ნავსადგურის სამხრეთ ბუხტში ჩაძირულია 2 ტრანსპორტი და 1 თვითმავალი კარჭაპი. ჩვენმა მფრინავებმა წარმატებითი თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა აეროდრომზე და მოსპეს 14 თვითმფრინავი, მათ შორის 5 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუნკერს-52“. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებული ია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი. ამრიგად დღის განმავლობაში სევასტოპოლის რაიონში სულ მოსპობილია გერმანელთა 36 თვითმფრინავი.

* * *

კალინინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 1-დან 6 აპრილამდე ლიანდაგიდან გადაადო გერმანელთა სამი სამხედრო ეშელონი. გზატეხილებსა და ყამირგზებზე ქალინინელმა პარტიზანებმა მოსპეს 15 ავტომანქანა და 7 საზიდარი ტვირთიანად. მოკლულია 76 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 11 კაცი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 24 ჯარისკაცი ნებაყოფლობით გადაეიდა პარტიზანთა მხარეზე.

* * *

ყირიმელ პარტიზანებს ტყვედ დანებდა რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიის მე-4 საარტილერიო დივიზიონი სრული შემადგენლობით. ტყვედ წამოყვანილმა კაპიტანმა თეოდორ ველსანუმ განაცხადა: „ჩვენი დივიზიონი შავი ზღვის სანაპიროს იცავდა უსკუტის რაიონში. ჩვენ სხვებზე უფრო გვიან გავიგეთ, რომ რუსებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა. რუსების შეუჩერებელი და ელვისებური წინსვლის ამბავმა დემორალიზაცია შეიტანა გერმანელთა და ჩვენ მინერეთა ნაწილებში. ყველა დაიბნა. ჩვენ სულ მთლად დავავიწყდით და აღარ ვიცოდით, თუ რა გვეჭირა. ძლივს მოვძებნეთ გერმანელთა შტაბი. უფროსი ოფიცერი ძლიერ ჩქარობდა და ღელავდა. მან განაცხადა: „ქვეყნმა საარტილერიო დივიზიონმა წინააღმდეგობა უნდა გასწიოს უკანასკნელ კაცამდეო, მაგრამ გასაგებად ვერ გვითხრა, თუ სად იყო თავდაცვის ჩვენი უბანი. ჩვენ სხვა გერმანელ ოფიცრებსაც მივმართეთ, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ გერმანელებმა აშკარად გაგვწირეს დასაღუპავად. დივიზიონი მაიორ ანგელესკუს მეთაურობით გაემგზავრა იმ რაიონში, სადაც ჩვენი ცნობებით, პარტიზანები მოქმედებდნენ. ბოის ტაფობს რომ მივაღწიეთ, ხევებში დავიმალეთ და პარტიზანებს პარლამენტიორი გავუგზავნეთ, რომელსაც თეთრი ალამი მიჰქონდა. მალე მოვიდა პარტიზანთა ჯგუფი, რომელსაც მაიორმა ანგელესკუმ გადასცა დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა, ქვემეხები და საომარი მასალა“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა სისხლით მორწყეს ქალაქ ფეოდოსიის ქუჩები. გერმანელები განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდნენ საბჭოთა ინტელიგენციას, რომელმაც უარი სთქვა ოკუპანტებისათვის ემუშავნა. გერმანელმა ჯალათებმა ბევრი სპეციალისტი ჩამოახრჩეს და დაბერტეს. ზეციურად აწამეს ცნობილი ქირურგი დაშევსკი, ექიმები ბარანოვი და ვასერმანი, მოხუცი თერაპევტი ფიდელეი ჰიტლერელებმა ჩამოახრჩეს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე. განთავისუფლებული ქალაქის მცხოვრებნი ათობით ორმოს თხრიან და ფეოდოსიის მიდამოს თხრილებში, ყრუ ხევებსა და ლიმანებში ეძებენ თავიანთ ნათესავ-მეზლობელთ, რომელნიც ფაშისტ მკვლელთა ხელით დაიღუპნენ. გერმანელმა და რუმინელმა ბარბაროსებმა დიდი ნგრევა მოახდინეს ქალაქში. ნანგრევებად არის ქცეული ლენინის პროსპექტი და მისი საუცხოო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სამკურნალოები. განთქმული რუსი მხატვრის აივაზოვსკის სურათების გალერეა და სახლი გაძარცული და დანგრეულია. საუკეთესო სურათები გერმანელებმა მოიპარეს და გერმანიაში გაზიდეს. გალერეასა და სახლს საშინელი რბევის კვალი ან�. ფანჯრები და ჩარჩოები ნალეწილია, ავეჯი და მთელი ნივთები დამტვრეულია. იტალიაზე ყრია აივაზოვსკის პირადი ბიბლიოთეკის ნაკუწ-ნაკუწად დაფხრეწილი წიგნები. დარაჯი თომა ივანეს-ძე დარმენკო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იცავდა გალერეას და განსვენებული აივაზოვსკის დროს მუშაობდა, მოგვითხრობს: „გერმანელები ნამდვილი ვეღურები არიან. როცა ისინი გალერეას ანადგურებდნენ, მე ვტიროდი, ვევედრებოდი გერმანელ ოფიცერს არ გაენადგურებინათ რუსი მხატვრის ქმნილებანი, მაგრამ იგი მხოლოდ იცინოდა და თავის საზიზღარ საქმეს განაგრძობდა“. გერმანელებმა დაანგრიეს ნავსადგური, ააფეთქეს ბევრი სახლი ქალაქში, დასწვეს თამბაქოს ფაბრიკა, 11 სკოლა, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა შენობები. ჰიტლერელებმა დანაღმეს ასობით სხვა სახლი, მაგრამ მათი აფეთქება ვერ მოასწრეს. წითელი არმიის სწრაფმა შეტევამ იხსნა ფეოდოსია სრული დანგრევისაგან.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობისათვის

გამოსვლა ამხ. ა. ი. ვიშინსკის მიერ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში შეკრებულ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების გამო

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „უფუნურება ჰელსინკში“, ეხება ფინელების მიერ დროებითი ზავის საბჭოთა პირობების უარყოფას და სწერს: „ყველა გულწრფელად დაინანებს იმას, რომ ფინეთის მთავრობამ არ ისარგებლა საუკეთესო შემთხვევით არა მარტო ბოლო ომიანი თავისი ხალხის ტანჯვისათვის, არამედ ავრეთვე უზრუნველეყო ნაციონალური ღირსებიანი კეთილდღეობა მტკიცე და სანატიფო საფუძვლებზე. სამწუხაროა, რომ ომის ამ ეტაპზე არის მთავრობა, რომელსაც შეუძლია წინდაუხედავად იმოქმედოს. საკმაოდ დიდი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფინელი ლიდერები არაკეთილსინდისიერებას იჩენენ ვოლაპარაკების წარმოების დროს“.

„ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ თითქმის ყველგან, ჰელსინკს გარდა, დროებითი ზავის საბჭოთა პირობები აღიარებულ იქნა, როგორც ზომიერი და რეალისტური და სწერს: „ფინეთის ახლანდელი მთავრობა წინანდებურადვე მზად არის იმუშაოს გერმანელთა სასარგებლოდ, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს დაიცვას თავისი საკუთარი ხალხის ინტერესები. ფინელი ხალხის დაღლილობა ომისაგან აშკარაა, ხოლო ზავისადმი მისწრაფება დიდად არის გავრცელებული. სწორედ ამის შეგნებამ აიძულა ფინეთის მთავრობა გაეძეთეპინა საზავო დემარში თებერვალში. მაგრამ თვალწინ გვაქვს იმის დამტკიცებელი სიბუთები, რომ ფინეთის მთავრობა უმალ აწყვეტდა ეპოვნა საბაბი საკუთარი ინიციატივის გასაქარწყლებლად, ვიდრე გამოეჭვნა იმის საშუალებანი, რომ ნაყოფიერი გაეხადა ეს ინიციატივა“.

„თავიანთ ახლანდელ პოზიციაში. ჯიუტობის გამოჩენით,—განაგრძობს „ტაიმსი“, — ფინელებმა ყველაფერი უნდა დაჭკარგონ. თუ ხელისუფლების სათავეში მათი ახლანდელი მთავრობა დარჩა, მათ წინაშე უიმედო მომავალი გაჩენილა. მაგრამ ამეამადაც კი სხვა ადამიანებს შეუძლიათ იხსნან ყოველივე ის, რაც ასე უგუნურად ინგრევა“.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ ფინეთმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი ომის გამოშწვევი ქვეყნების ვვირიდით და გაიზიაროს მათი სირცხვილი და მათთვის გათვალისწინებული სასჯელი.

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რუსეთ-ფინეთის მოლაპარაკების მარცხმა იმედგაცრუება გამოიწვია ლონდონში. როცა პაასიკივი მოსკოვს გაეგზავნა, შეთანხმების იმედი გაძლიერდა, მაგრამ ფინელთა უკანასკნელ პასუხს, რაც ინგლისის მთავრობას ეუწყა, არავითარი ეჭვი აღარ დაუტოვებია, რომ ჰელსინკში ხელისუფლების სათავეში მდგომი ადამიანები არ აპირებენ ისარგებლონ მათთვის შეთავაზებული შესაძლებლობით — პირნათლად გამოიყენონ თავიანთი ქვეყანა უბედური ავანტიურიდან. სავეჭვოა, რომ ფინელებს შეეძლოთ უფრო ლმობიერი პირობების იმედი ჰქონოდათ. საკუთარ არ არის ნათელი, თუ რატომ უარჰყვეს მათ ასეთი პირობები. ადრე თუ გვიან მათ მოუხდებათ ანგარიში ჩაბარონ რუსებს და ამჯერად მათ არ შეუძლიათ სცდებოდნენ იმ მხრივ, თითქოს ინგლისი და ამერიკა მხარს არ დაუჭერენ რუსეთს მის გადაწყვეტილებაში ყოველგვარი საშუალებით განდევნოს გერმანელები ფინეთიდან და არ დაუშვას მათი იქ დაბრუნება.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „ჰელსინკი თამაშობს“, სწერს, რომ ამერიკელ ხალხს დიდად გაუკვირეს იმედს ფინეთის მთავრობის პასუხი. საბჭოთა პირობები, გაზეთის სიტყვით, სსნიდნენ გზას, რომელიც ფინეთს შეეძლო მიეღო ისე, რომ თავისი ნაციონალური ღირსება და ნაციონალური დამოუკიდებლობა მსხვერპლად არ მიეტანა. ფინეთის მთავრობამ უარჰყო ეს პირობები და ამრიგად სამხედრო განადგურების საფრთხე შეუქმნა თავის თავს.

„ფინეთის მთავრობისათვის, — ნათქვამია სტატიაში, — ამჟამად ნათელი უნდა იყოს, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ და არა სურთ გამონახონ ფინეთის პრობლემის რაიმე გადაწყვეტა რუსეთზე დამოუკიდებლად და რუსეთის საწინააღმდეგოდ, ავრეთვე, რომ ამერიკამ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ ფინეთს მოუწოდა იმ მომენტში, როცა სავსებით ცნობილი იყო დროებითი ზავის რუსთა პირობები. რამდენადაც ეს ასეა, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ჰელსინკი, როგორც ამას მოსკოვი სთვლის, იმყოფება გერმანელთა ბატონობის ქვეშ, ანდა იმედს ამყარებს გერმანიის წინააღმდეგობის განგრძობის შესაძლებლობაზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ფინეთი ჩათრეული აღმოჩნდება ჰიტლერიზმის საერთო კრახში და იძულებული იქნება იგივეს ის სასჯელი, რომელიც გარდუვალად მოჰყვება ამ კრახს“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი თბილისში



კვირას, 23 აპრილს, თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი. აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვს ახლავან პრეზიდენტის თანაშემწე ა. გ. ჩერნოვი და რეფერენტი ბ. ა. შპარო.

ვაგზალში ვ. ლ. კომაროვს შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ე. ალავიძე, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ნ. კეცხოველი, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი ვ. გ. მაჭავარიანი, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ს. ს. როსტიაშვილი და სხვ.

გუშინ ვ. ლ. კომაროვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ნ. ი. მუსხელიშვილთან და საქართველოს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი. ამხ. ვ. ლ. კომაროვი სამ საათზე მეტ ხანს ეცნობოდა ბოტანიკურ ბაღს, ესაუბრა ბაღის დირექტორს, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ამხ. გიგლისაშვილს.

შემდეგ ვ. ლ. კომაროვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ქალაქი დაათვალიერეს.

დღეს საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შესდგება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ამხ. ვ. ლ. კომაროვისა და საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა შეხვედრა.

თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება

24 აპრილს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის დარბაზში შესდგა ქალაქ თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელზედაც განხილულ იქნა პროფკავშირთა სრულიადსაკავშირო ცენტრალური საბ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი

20-21 აპრილს შესდგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სკოლაში კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

2. სოფლად კომკავშირის მუშაობის უახლოეს ამოცანათა შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

— ჩვენი სკოლების მუშაობაში,—ამბობს ამხ. ბალავაძე,—ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ვოიპოვება. სწორედ ამ ნაკლთა შესახებ უნდა ვილაპარაკოთ დღეს, რათა გამოვაშკარაოთ ისინი და კონკრეტული გზები დავსახოთ მათი გამოსწორებისათვის.

ბევრი ჩვენი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია ისე მუშაობს, რომ მოწყვეტილია სკოლების პედაგოგთა კოლექტივს, დაკავშირებული არ არის მოსწავლეთა ფართო მასებთან, სერიოზულ მოთხოვნებს არ უყენებს იმ კომკავშირელებს, რომელნიც დაუდევრად ეკიდებიან სწავლას, არღვევენ დისციპლინას. სკოლის დირექტორი, პედაგოგი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენენ სკოლაში, და სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა უწინარეს ყოვლისა მათ დასახმარებლად უნდა იყოს მიმართული. მოითათბირონ პედაგოგებთან, უფრო მეტად დაუგდონ ყური მათს აზრს—ამას ავალებს მათ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებები.

ამხ. ბალავაძე დაწვრილებით შეჩერდა პიონერულ ორგანიზაციათა მუშაობაზე.

— პიონერულ ორგანიზაციათა მუშაობის სერიოზულ ნაკლს,—ამბობს იგი, — წარმოადგენს შაბლონი, მოსაწყენობა, ფორმალიზმი. ხშირად პიონერული რაზმებისა და რაზმეულების საქმიანობა ისეთ შეკრებათა ჩატარებით ამოიწურება, რომლებიც მოსაწყენ კრებებს მოგვაგონებენ. მხედველობაში არ არის მიღებული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

ამხ. ბალავაძემ დიდი ყურადღება დაუთმო სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის საკითხებს და მოსწავლეებში შრომითი ჩვევების დანერგვას.

— საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედების კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენენ,—ამბობს დასასრულ ამხ. ბალავაძე.— ჩვენი ამოცანაა ბოლშევიკურად, ყველგან და სრულად განვახორციელოთ ეს გადაწყვეტილებანი.

ამხ. ბალავაძის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

— საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამბობს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შენგელია, სკოლაში მთელი მუშაობის გაუჯობესების ფართო გზებს ხსნის ჩვენს წინაშე. სკოლაში კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებანი, რაც პლენუმმა აღნიშნა, ახასიათებენ საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციასაც. ჯერ კიდევ არ არის ბეჯითი ყურადღება სკოლისადმი. საკმაო დახმარება არ ეწევა მასწავლებელს, მთელი რიგი სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ მომთხოვნელობას საკავშირო ალკკ წევრებისადმი, ურიგდებიან კომკავშრელთა ჩამორჩენას სწავლაში, არ არის სათანადო ზრუნვა კომკავშირში ახალმიღებულთა აღზრდისათვის.

დასასრულ ამხ. შენგელიამ აღნიშნა სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი—სათანადო მასობრიობისა და ინიციატივის უქონლობა, არასაკმაო კავშირი სკოლებთან.

კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. გრიგოლიამ ილაპარაკა კომკავშირელ პედაგოგებთან მუშაობაზე. რაიკომმა მოაწყო სპეციალური ლექციები და მოხსენებანი. აწყობს ახალგაზრდა პედაგოგთა თათბირს. ამჟამად, როცა სკოლაში შექმნილია მოსწავლე კომკავშირელთა და პედაგოგ კომკავშირელთა ცალ-ცალკე ორგანიზაციები, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პედაგოგ კომკავშირელებთან მუშაობას. ამხ. გრიგოლია აღნიშნავს, რომ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები არასაკმაო ყურადღებას იჩენენ სკოლის საჭიროებისადმი. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები სათანადოდ არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებით. ამისათვის პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ეკ კომკავშირულ ორგანიზაციებსაც ეკისრებათ.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს ალკკ ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. იმნაიშვილი. მან ილაპარაკა, რომ ჭუთაისის მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ლითონის ჯარის შესაგროვებლად და სხვ. მაგრამ ჩვენი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, — დასძინა მან, არსებითი ნაკლოვანებანი მოიპოვება. სწავლაში ჩამორჩენილი 276 მოსწავლიდან 115 კომკავშირელია.

კომკავშირის სამხრეთ-ოსეთის სოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კოტაევმა ილაპარაკა, რომ ოსეთის სოლეებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეს დაეტყო სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციათა ზრდას. სამხრეთ-ოსეთში ცოდად ომამბენ სკოლისგარეშე დაწესებულებანი. ქალ. სტალინირის საბავშვო ტექნიკური სადგური უკვე 3 წელიწადია არ მუშაობს. ოლქში საკმაოდ არ არის ფიზკულტურის ხელმძღვანელთა კადრები. ჩვენ, ამბობს ამხ. კოტაევი, აღვძარით საკითხი, რომ ჩვენს პედაგოგიურ სასწავლებელში მოეწყოს ფიზკულტურის განყოფილება; ეს საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ მოვამზადოთ ფიზკულტურის ხელმძღვანელთა ჩვენთვის საჭირო კადრები.

შენაარსიანი იყო მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ამხ. წულუკიძის გამოსვლა (თბილისის ქალთა 12-ე სკოლა). მან კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ მასწავლებლებისა და მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციების მჭიდრო კავშირი როგორ უწყობს ხელს სკოლის მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას. ამხ. წულუკიძემ უამბო პლენუმს, თუ როგორ ეხმარება სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდა მასწავლებლებს საკუთარ თავზე მუშაობაში. მასწავლებელთა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ახალგაზრდა პედაგოგთა თეორიული კონფერენცია ჩაატარა, იგი ურჩევს ახალგაზრდა მასწავლებლებს, ვის გაკვეთილებს დაესწრონ, რა ისწავლონ.

ამხ. აგლაძემ (ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე) უამბო პლენუმს, თუ რა დასკვნები გამოიტანა თავისი მუშაობისათვის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის კოლექტივმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. მან ილაპარაკა მუშაობაში ნაკლოვანებათა შესახებ და აღნიშნა ქალაქის სკოლებთან არასაკმაო კავშირი, სასახლის ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა შედარებით სუსტი მუშაობა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ყვანია დაწვრილებით შეჩერდა კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანებზე საყოველთაო სამხედრო სწავლების კანონის განხორციელებაში და აღნიშნა, რომ ისეთ რაიონებში, როგორიც არის ბოლნისის, კასპის, ყარაიის, თეთრი წყაროს, მცხეთის, დუშეთისა და სხვა რაიონები, ბევრი ბავშვი სკოლის გარეთ არის დარჩენილი და ხდება მოსწავლეთა განთესვა.

მთელი რიგი რაიკომები დაშორებული არიან სკოლას, არ იცნობენ სკოლის ცხოვრებას და არა ცდილობენ ჩასწვდნენ მას. ვანისა და ჩოხატაურის რაიკომების ბიუროს სხდომებზე წელს ერთხელაც არ განუხილავთ სასკოლო ცხოვრების საკითხები. სრულიად არასაკმაო ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრებითს პირობებს. შემდეგ ამხ. ყვანია ლაპარაკობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ყოველი უფროსი პიონერხელმძღვანელის მიერ პედაგოგიური განათლების მიღებაზე. იგი ჩერდება პიონერულ ორგანიზაციათა მუშაობაზე და პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა პიონერული მუშაობის გამოცოცხლება, მისი შეფარდება ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებთან, ამასთან არ უნდა იქნას დავიწყებული პიონერული სიმბოლიკის მნიშვნელობა. საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, ამბობს ამხ. ყვანია, კონტროლს უნდა უწევდნენ კომკავშირული ორგანიზაციები. საჭიროა უფრო მასობრივი, უფრო ინიციატივიანი გავხადოთ ეს დაწესებულებანი, აღვადგინოთ მათი საქმიანობა ყოველ რაიონში.

ამხ. ბურჭულაძემ (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე) ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელსაც კომკავშირისაგან მოელიან სახალხო განათლების ორგანოები, სკოლა.

კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება საჭიროა მოსწავლეთა საზხედრო სწავლების მოწყობაშიც—სასპორტო მოედნების, სამხედრო კაბინეტების მოწყობაში, საჭირო სასპორტო ინვენტარისა და სასწავლო ხელსაწყოთა მომზადებაში. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბავშვებს უნდა განუვითარონ კლასგარეთ კითხვის სიყვარული, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა სასკოლო ბიბლიოთეკების შევსება.

კამათის დასასრულ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. ა. თ. კვაჭაძე. მან მოაგონა პლენუმის მონაწილეთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი სკოლის შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ომის დროს.

ამ, ღონისძიებებს ახალ, უფრო მაღალ დონეზე აპყავთ სკოლის მუშაობა. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ახალი ამოცანები ისახება კომკავშირის წინაშეც. ამ ამოცანების შესრულების კონკრეტული გზები დასახულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა გუგუციძემ (საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომი), რეხვიაშვილმა (საქართველოს ალკკ ლაგოდეხის რაიკომი), სოლოდოშვილმა (საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომი), გარმელიამ (საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი), ჯერეალიძემ (საქართველოს ალკკ დუშეთის რაიკომი), ჯორჯიკიამ (თბილისის ვაჟთა 25-ე სკოლა).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „სოფლად კომკავშირის მუშაობის უახლოეს ამოცანათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამ. გ. იმნაიშვილმა.

კამათში პირველი გამოვიდა ამხ. რთველიაშვილი (საქართველოს ალკკ გორის რაიკომი). მან ილაპარაკა, თუ რაიონის კომკავშირელები როგორ ასრულებენ შაჭრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების დარგში მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. 3.325 მოსწავლე მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობს. მათ სარეველა ბალახებისაგან გასწმინდეს 1.823 ჰექტარი საშემოგდგომო ნათესი. მოსწავლეებმა გადასწყვიტეს სარეველა ბალახებისაგან მათ მიერ გაწმენდილ ნათესთა ფართობი 1 მაისისათვის 5.500 ჰექტარამდე აიყვანონ. რაიონის კომკავშირელებმა თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე და ფრონტელთა ოჯახების წევრთა ნაკვეთებზე 4.200 ძირი ხეხილი დარგეს.

ოთ როგორ შეასრულეს რაიონის კომკავშირელებმა მოსკოვის კომკავშირელთა მოწოდების პასუხად მათ მიერ 1943 წელს ნაკისრი ვალდებულებანი, ამაზე ილაპარაკა ამხ. გობრონიძემ (საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომი). მან მოიყვანა კომკავშირელების მიერ შესრულებულ სამუშაოთა შედეგების დამახასიათებელი ციფრები და დაწვრილებით შეჩერდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო ვუშაობაში კომკავშირელთა მონაწილეობაზე.

როგორ მონაწილეობს რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია სამეურნეო საქმიანობაში, რამდენად საქმიანად აყენებენ კომკავშირელები ადგილებზე კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საკითხებს, ამის შესახებ პლენუმზე ილაპარაკა ამხ. კობახიძემ (ყვარლის რაიონი).

ეის შემდეგ გამოვიდა ამხ. სხირტლაძე (საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი), რომელმაც ილაპარაკა სოფლად ფიზკულტურული მუშაობის ნაკლოვანებებზე. „მშთ“ ნიშნოსანთა მომზადების დავალება შესრულებული არ არის. ეთელ რიგ რაიონებს (ხაშური, ბორჯომი, გორი) 1943 წლის განმავლობაში კოლმეურნეობათაგან „მშთ“-ის არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ.

ამას წინათ კოლმეურნეობათა ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩატარდა ანგარიშები და არჩევნები. არჩევნების მსვლელობაში შეიქმნა ახალი ფიზკულტურული ორგანიზაციები. უნდა განვამტკიცოთ ეს ახალი კოლექტივები, უზრუნველვყოთ ისინი ფიზკულტურის ხელმძღვანელთა კადრებით, დავეხმაროთ მათ სასპორტო ეიღდნების მოწყობაში, სასპორტო ინვენტარის დამზადებაში.

ამხ. ხელაშვილმა (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი) ილაპარაკა მტს-ების კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაზე, ახალგაზრდა ტრაქტორისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, მუშაობაში ტრაქტორისტ ქალთა უფრო ფართოდ ჩაბმის ამოცანაზე.

რაიონის ეოწინავე კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაზე ილაპარაკა ამხ. მათეშვილმა (საქართველოს ალკკ თელავის რაიკომი). კომკავშირის ღია კრებებზე 1943 წლის სამუშაოებში კომკავშირელთა მონაწილეობის შედეგებისა და 1944 წლის ამოცანების განხილვამ ხელი შეუწყო მთელი კოლმეურნე ახალგაზრდობის მობილიზებას საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად.

სოფელ არაშენდის ეორობილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა კომკავშირელი მუშაობს გადამწყვეტ უბნებზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირები, გუთნისდედები, მეცხოველეები კომკავშირელები არიან. მათ წინასწარ ივარაუდეს, თუ როგორი მოსავალი უნდა მიეღოთ წელს და თავიანთ ვალდებულებათა შესაბამისად ემზადებოდნენ თესვისათვის. ისინი იყვნენ თესლის გულმოდგინედ მომზადების, სასუქის შეგროვებისა და გაზიდვის ინიციატორები, აგროტექნიკური სწავლების ორგანიზატორები. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებიდან კომკავშირელებმა მინდვრად ბრიგადებში გაგზავნეს აგიტატორები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. დ. მკედლიშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. იგი დაწვრილებით შეჩერდა ქოხ-სამკითხველოთა მუშაობაზე, იმაზე, თუ რა დახმარებას უწევენ მათ სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები, მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ კომკავშირული ორგანიზაციები უყურადღებობას იჩენენ სოფლის პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისადმი. ცხაკაია რაიონის სოფელ ჭალადიდში ქოხ-სამკითხველო უყურადღებოდ არის მიტოვებული. სამკითხველოს გამგე კომკავშირელი საჯაია თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ცუდად მუშაობენ ზემო და ქვემო სვანეთის მთელი რიგი ქოხ-სამკითხველოები.

შემდეგ ამხ. მკედლიშვილი ლაპარაკობს სოფლისათვის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაკთა კადრების მომზადების შესახებ და ჩერდება პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტის მუშაობაზე. ეს ფაკულტეტი ბიბლიოთეკრთა კადრებს ამზადებს. ამხ. მკედლიშვილი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებებს—სტუდენტთა განთესვას, სუსტ დისციპლინას, ჩამორჩენას სწავლაში, ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მხრივ სათანადო ყურადღების მიუქცევლობას ამ ფაკულტეტის მუშაობისადმი.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები ჭობალია (საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომი), ნოსელიძე (საქართველოს ალკკ ქუთაისის რაიკომი), ძაძამია (საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომი), ყიფიანი (საქართველოს ალკკ ბათუმის რაიკომი).

პლენუმმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ი. ბარამიამ.



მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელიხევის აგიტატორები სამკითხველოში მეცადინეობენ დამოუკიდებლად (მარცხნიდან): მ. ჭელიძე, ნ. ყანჩაველი და ტ. მეფარიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

სამი ორდენის კავალერი კაპიტანი გიორგი შავლოხაშვილი

ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო კაპიტანმა გიორგი ნიკოლოზისძე შავლოხაშვილმა.

ლეიტენანტი, მამაცი, მაგრამ ბრძოლაუნახავი მეთაური — ასეთი იყო იგი წელიწად-ნახევრის წინათ. კაპიტანი, მრავალი სახელოვან ბრძოლაგადახდილი, მამაცი და უნარიანი ოფიცერი, სამი ორდენის კავალერი—ასეთია დღეს იგი.

პირველი საბრძოლო ნათლობა ამხ. შავლოხაშვილმა კავკასიის მისადგომებთან წარმოუჭიბულ ცხარე ბრძოლებში მიიღო და აქვე გამოამჟღავნა საბჭოთა ოფიცრის საუკეთესო თვისებები: მამაცობა, ინიციატივა, ბრძოლის უნარიანად მართვისა და კარგი ორგანიზატორის ნიჭი.

გერმანელები შეავტომატეთა მეირე ჯგუფებს გზავნიდნენ ჩვენს ზურგში, რათა არევ-დარევა შეეტანათ ჩვენს საბრძოლო წყებებში. მაგრამ ტრის ყველა ხრიკი ჩაშლილ იქნა. იმ უბანზე, რომელსაც ლეიტენანტ შავლოხაშვილის ქვეგანაყოფი იცავდა, პიტლერელებმა სამჯერ შემოგზავნეს მეავტომატეები. მამაცი მეთაურის კარგად ორგანიზებულმა და დისციპლინებულმა მებრძოლებმა ხელი იგდეს პიტლერელ ჯარისკაცთა სამივე ჯგუფი 25 კაცის შემადგენლობით. შავლოხაშვილმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის გააფთრებული იერიშები და თავდაცვიდან კონტრშეტევაზე გადავიდა.

ამხ. შავლოხაშვილმა თავისი მამაცობით და უნარიანობით მალე მიიპყრო სარდლობის ყურადღება. ამის შემდეგ მას გზავნიდნენ ყველაზე გადამწყვეტ და რთულ ამოცანათა შესასრულებლად და ისიც ყოველთვის წარმატებით ამართლებდა სარდლობის ნდობასა და იმედებს.

ჟუბანში ჩვენი ქვეგანაყოფები ერთ დასახლებულ პუნქტს უტევდნენ. მტერს ეს ადგილი გამაგრებული ჰქონდა მძლავრი საცეცხლე სისტემით და რთული სატრანშეო ქსელით, სარდლობამ მოამზადა იერიში, მთავარი დარტყმა მარცხენა ფლანგზე უნდა მომხდარიყო. ამ ოპერაციაში გადამწყვეტი როლი შავლოხაშვილის ქვეგანაყოფს უნდა შეესრულებინა. მას პირველს უნდა მიეტანა იერიში, ეიერდვია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინააზაზი და გაეხსნა გზა ჩვენი ქვეგანაყოფებისათვის შეტევის განსაკითარებლად.

შავლოხაშვილმა იერიში გულდასმით მოამზადა. ღამით დაუარა მებრძოლებს, ესაუბრა, ამოცანა განუმარტა, გაამხნევა და შეტევისათვის გააფრთხილა.

დილის 4 საათზე ქვეგანაყოფმა იერიშის სიგნალი მიიღო. შებრძოლები ღამით ფარულად დაკავებულ საიერიშო ზღუდიდან „ურას“ ძახილით გაექანენ და გრიგალივერტრი ტეტ-ხლით ეკვეთნენ მტერს. მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა ეს ძლიერი და გაბედული იერიში. იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. შავლოხაშვილი თავის ქვეგანაყოფით დაედევნა უკუქცეულ მტერს და რამდენიმე კილომეტრით შეუსვენებლად ბრძოლით ერეკებოდა და ულტდა მათ. მტრის თავდაცვა გარღვეულ იქნა.

ამ შესანიშნავი ბრძოლის ჩატარებისათვის ამხ. შავლოხაშვილი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ასეთივე ბრწყინვალე ბრძოლა გადაიხადა მან ერთ სოფელთან, რომელზედაც გადიოდა გერმანელების მიერ ნაქები ე. წ. „ცისფერი ხაზი“. სოფელი გამაგრებული იყო ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებით და თავდაცვის მთელ სიღრმეზე დასერილი იყო ტრანშეებით. აქაც შავლოხაშვილს დაეკალა პირველს მიეტანა იერიში მტრის თავდაცვის გასარღვევად. ორი დღედამე ამზადა მან იერიში, დაწვრილებით შეისწავლა მტრის განლაგება, ბუნებამ ჩაატარა პირადი დაზვერვა, ოცეულებს გააცნო იერიშის შიმართულება, ადგილმდებარეობა, მებრძოლებს გამოუკითხა ამოცანის ცოდნა, მოაგონა მათ ხელმართული ბრძოლის წესები და გააფრთხილა დილით ადრე ტრანშეებში მოგვიხდება ბრძოლა. მებრძოლებმა შეჰფიცეს მეთაურს, რომ ისინი თავგანწირვით იბრძოლებდნენ და ამოცანას შეასრულებდნენ.

გათენებისას ჩვენმა არტილერიამ გრიგალსებური ცეცხლი დაუშინა მტრის თავდაცვის წინა კიდეს. ეს ამავე დროს იერიშის ნიშანიც იყო. შავლოხაშვილის მებრძოლები წამოშალნენ ადგილიდან, ვეფხვებივით გაექანენ წინ. არტილერიამ სწრაფად გადაიტანა ცეცხლი მტრის თავდაცვის ზურგში. მებრძოლები მიუახლოვდნენ თუ არა ტრანშეებს, გრანატები დააყარეს გერმანელებს და ხიშტ-მოღერებულები ჩაცვივდნენ თხრილებში. გაჩართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. გაქანებულ იქნა 80-ზე მეტი გერმანელი, ტყვედ 12 გერმანელი წამოიყვანეს. მალე წამოეველნენ სხვა ქვეგანაყოფები და შეტევა გაგრძელდა.

ამ უნარიანი ბრძოლისათვის ასეულის მთელი რიგითი შემადგენლობა დაჯილდოებულ იქნა ორდენებით. ამხ. შავლოხაშვილს მიეცა უმაღლესი ჯილდო—ალექსანდრე ნევსკის ორდენი.

ბევრი შესანიშნავი ბრძოლა გადაიხადა ამხ. შავლოხაშვილმა ტამანში. ერთი დღეღამის შეტევის დროს მისმა ქვეგანაყოფმა 30-დე კილომეტრი გაიარა ბრძოლებით და რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა, ათობით ჰიტლერელი გაქანტა და დიდძალი დავლა იგდო ხელთ.

ამ ბრძოლებისათვის ამხ. შავლოხაშვილი დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

ახლა სახელოვანი ქართველი მეთაური უკრაინაში და დაუნდობლად ანადგურებს ფაშისტ ქვეწარმავლებს.

მაიორი ბ. დოლაშვილი

სამედიცინო სამსახურის ორდენოსანი მაიორი გ. ი. მინდაძე



გრიგოლ (გრიშა) ივანეს-ძე მინდაძე დაიბადა 1901 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. 1919 წელს დამთავრა საშუალო სკოლა და შეეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1928 წლიდან მუშაობდა საქართველოს რაიონებში ექიმად.

სამამულო ომის დაწყების დღიდან გრ. მინდაძე გაიწვიეს წითელ არმიაში. პირველად ნ ჰოსპიტლის ქირურგიულ განყოფილების უფროსად მუშაობდა. 1942 წლის დასაწყისში ექიმი მინდაძე ფრონტზე გაგზავნეს და დღემდე მოწინავე ხაზზე იმყოფება. ქერჩში ძლიერი ბომბარდირების დროსაც კი იგი სერიოზულ ოპერაციებს აკეთებდა, დაუღალავად ზრუნავდა თვითეულ დაჭრილ მეომარზე.

ამჟამად ამხ. მინდაძე მუშაობს მთავარ ქირურგად სახელოვან ანაპის 414-ე დივიზიაში. იგი ლენინ-სტალინის პარტიის წევრია, დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს. მას თითქმის ყველა მებრძოლი იცნობს.

* * *

ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენი არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლი მიწას აზანზარებდა. ამ დროს სანიტრებმა საოპერაციოში შემოიყვანეს მძიმედ დაჭრილი დვალაშვილი, რომელსაც ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. მას სასწრაფოდ სისხლი გადაუსხეს და ქირურგი მინდაძე შეუდგა საქმეს. ეს ოპერაცია მან საუკეთესოდ ჩაატარა. დვალაშვილის ჯანმრთელობა რამდენიმე დღეში გაუმჯობესდა.

უფროსი ლეიტენანტი შველიძე საოპერაციო მაგიდაზე უგრძნობ მდგომარეობაში დაწვინეს. შველიძე მძიმედ იყო დაჭრილი თავის ქალის არეში. ქირურგმა მინდაძემ დაჭრილს მეტად რთული ოპერაცია გაუკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ დაჭრილი გრძნობაზე მოვიდა და მალე განიკურნა.

წითელარმიელი ლომიძე, რომელმაც ხელჩართულ ბრძოლაში ხუთი ფაშისტი გაქანეტა, მძიმედ იყო დაჭრილი. ექიმმა გრ. მინდაძემ სასწრაფოდ გაუკეთა დაჭრილს ოპერაცია. ლომიძე მოჯანმრთელდა.

ასეთი მაგალითები უამრავია. ქირურგ მინდაძეს მრავალი დაჭრილი მებრძოლისათვის დაუბრუნებია სიცოცხლე.

მთავრობამ ღირსეულად შეაფასა ქირურგ გრ. მინდაძის ფრონტზე თავდადებული მუშაობა. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის სახელმძღვანელო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის გრიგოლ ივანეს-ძე მინდაძე დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

გალ. მინდაძე

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს VII სესია

ამ დღეებში შესდგა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს VII სესია.

სესია გახსნა სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. ა. გ. გალავანოვმა.

დეპუტატ ბ. გალაევის წინადადებით სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ხ. ხანაკოევი.

დეპუტატ ვ. ხეთაგუროვის წინადადებით საოლქო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. სამხრეთ-ოსეთის 1944 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და 1941, 1942 და 1943 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშთა დამტკიცება.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

3. საორგანიზაციო საკითხები.

მოხსენებით სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ჰ. ხარებოვი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს მიერ სესიის განსახილველად დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 29 პროცენტით.

ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება 23.765,4 ათასი მანეთი, ე. ი. 31 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. ყველაზე უფრო მეტ ზრდას—44,3 პროცენტს იძლევა ასიგნობა სახალხო განათლებაზე.

— ეს,—ამბობს მომხსენებელი,—წარმოადგენს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისადმი პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგი სტალინის და სამხრეთ-ოსეთის ხალხის საყვარელი მეგობრის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას ყოველდღიური მზრუნველობის ნათელ დადასტურებას. მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, საბჭოთა სახელმწიფო დიდ თანხებს ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისათვის.

შემდეგ სესიამ მოისმინა სამხრეთ-ოსეთის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. გ. პეტროსოიანის თანამოსაუბრენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

მოსმენილ მოხსენებისა და თანამოსაუბრენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ვ. ხანაკოევმა, ბ. გალაევმა, თ. გასეევამ, ნ. შავლოხოვამ, ნ. თურქესტანიშვილმა და ამხანაგებმა რ. ბერიაშვილმა, დ. გუკაევმა, ბ. წერეთელმა, გ. კულუბეკოვმა და ზერექიძემ.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა დეპუტატი ჰ. ხარებოვი.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი 29.569 ათასი მანეთის რაოდენობით.

მოხსენებით სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მეცხოველეობის დარგში დეპუტატი ა. ძაგოევი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. შ. ბიაზროვმა, დეპუტატებმა ვ. ალბოროვმა, ო. ჯიოევამ, ამხ. ბ

ტარნოპოლის ოლქის სოფ. კელოდრიპკის მცხოვრებმა მეთევზე ვ. ი. პეტრიკმა ერთი ღამის განმავლობაში თავისი ნავით დნესტრზე გადაიყვანა საბჭოთა მეავტომატების ერთი ბატალიონი. იგი წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲮᲕᲜᲐ - ᲗᲔᲡᲚᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲛᲘᲬᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ 20 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროცენტებით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტებით
აფხაზეთის ასსრ	78,5	3,6
აჭარის ასსრ	46,5	15,0
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	57,1	46,3
ახაშა	96,5	16,4
ცხაკაია	82,0	4,9
გეგეჭკორი	94,4	23,9
ზუგდიდი	89,0	0,7
ხობი	100,4	13,1
წალენჯიხა	100,0	61,0
ჩხოროწყუ	83,4	39,8
მახარაძე	94,3	47,1
ლანჩხუთი	75,0	4,5
ჩიბატაური	100,5	14,6
ფოთი	100,0	21,8
ქუთაისი	94,5	59,6
წყალტუბო	99,0	66,1
სამტრედია	97,5	6,2
წულუკიძე	93,2	9,0
ვანი	96,3	28,5
მაიაკოვსკი	100,0	29,8
ზესტაფონი	39,0	39,0
ჩხარი	64,5	64,5
ჭიათურა	53,0	53,0
საჩხერე	31,3	35,5
ორჯონიკიძე	57,0	57,6
ტყიბული	57,1	57,2
ონი	12,4	13,4
ამბროლაური	40,7	41,9
ცაგერი	38,7	38,7
ქვემოსვანეთი	28,1	28,1
ახალქალაქი	2,7	23,7
ბოგდანოვკა	4,8	16,4
ახალციხე	90,7	48,4
ადიგენი	101,6	28,9
ასპინძა	103,2	44,1
ხაშური	94,7	43,1
ქარელი	66,7	51,6
გორი	88,4	50,4
კასპი	85,0	47,8
ბორჯომი	30,8	17,7
წალკა	34,4	65,2
დუშეთი	70,6	48,4
თეძრი წყარო	89,6	47,6
თიანეთი	45,7	30,0
გურჯაანი	84,0	74,9
სიღნაღი	101,3	81,1
წითელწყარო	106,8	101,2
თელავი	93,3	58,1
ყვარელი	104,1	82,5
ლაგოდეხი	100,6	50,4
თბილისი	96,9	73,0
მცხეთა	103,8	70,2
ყარაია	116,1	64,0
ბორჩალო	105,0	39,3
ბოლნისი	90,0	53,9
საგარეჯო	74,4	67,5
ბაშკიჩეთი	64,4	27,3

ქუთაისისა და ახალციხის ცნობები მოცემულია 15 აპრილის მდგომარეობის მიხედვით.

ᲕᲗᲔᲡᲝᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲦᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ

ᲠᲐᲖᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲜᲔᲜ?

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). თესვის დამთავრების ვადები იწურება, გურჯაანის სასოფლო სახჭოს კოლმეურნეობა „მეშვიდე კონგრესში“ კი გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. 22 აპრილისათვის სიმინდი დათესილი იყო მხოლოდ 19 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46 ჰექტარისა. ფეტვი აქ უნდა დაეთესათ 20 ჰექტარზე, მაგრამ ჯერ ნიადაგიც არ შეურჩეიათ.

ჩამორჩენა თესვაში იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. ბაზერაშვილი) დროულად არ მოამზადა მუშა-საქონელი, ვერ მოაწესრიგა შრომა, არ მიიღო ზომები შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

კოლმეურნეობის მთელ რიგ ნაკვეთებზე მარცვლეული კულტურების თესვა ცუდად ჩაუტარებიათ. გურჯაანის მტს-მა კოლმეურნეობას ნათესები ზერელედ დაუფარცხა. ახლა ამ ნაკვეთებს ხელმეორედ ფარცხავენ და დამატებით სთესენ 10-15 კილოგრამ მარცვლეულს. მტს-მა კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულება არ შეასრულა: 20 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 15 ჰექტარი და ამ ფართობში ფარცხვა სრულიად არ ჩაუტარებია.

კოლმეურნეობაში ბრიგადები და რგოლები დაკომპლექტებული არ არის. პირველი და მეორე ბრიგადების ბრიგადირებმა მ. ოდიშელიძემ და ი. ყვირილაშვილმა არ იციან ვინ არიან რგოლის ხელმძღვანელები მათ ბრიგადებში. რგოლებზე მიმაგრებული არ არის განსაზღვრული ნაკვეთები, სამუშაო იარაღი, მუშა-პირუტყვი. ცალკეულ ბრიგადებში დაბალია შრომის დისციპლინა. 21 აპრილს მეორე ბრიგადაში 32 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 18 კაცი მუშაობდა. მოწყობილი არ არის სამავშვო ბაგა და ბაღი. ამ მიზეზით ბავშვიან ქალებს თ. დათუაშვილს, მ. გორგიაშვილს, მ. მაღალაშვილს, ა. ფრიდონიშვილს, ო. რუხაძეს 1944 წლის იანვრიდან დღემდე არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. ს. ბეციაშვილმა გამოიმუშავა მხოლოდ 2 შრომადღე, მ. ქაჩლიშვილმა — 3 შრომადღე.

ამ კოლმეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაცია არ არის. კომკავშირული ორგანიზაციაც აქ ფორმალურად არსებობს. 7 კომკავშირელიდან კოლმეურნეობაში ფიზიკურად არც ერთი არ მუშაობს და მათ არც რაიმე კავშირი აქვთ კოლმეურნეობასთან. ზოგი სასამართლოში მუშაობს, ზოგი მტს-ში, ზოგი საშუალო სკოლაში სწავლობს. კომკავშირის გურჯაანის რაიკომი ამ ორგანიზაციას რატომღაც საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციად სთვლის!

თესვა ჭიანურდება სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობა „კომინტერნშიც“.

შრომის სწორი ორგანიზაცია თესვის წარმატებით ჩატარების საფუძველია. როგორც სჩანს, ეს დაივიწყეს აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა.

გურჯაანის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

ნ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ

ᲛᲔᲒᲖᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ამ ჯილდომ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია და ახალი ამოცანები დააყენა ჩვენი კოლექტივის წინაშე.

მეურნეობას 55,5 ჰექტარი ვენახი აქვს. კარგა ხანია დავამთავრეთ ბარვა, შევაკეთეთ მავთული, დავამთავრეთ ცრუფარიანთან ბრძოლა, დაკიწყეთ ვაზის აკვრა, რაც ამ დღეებში დამთავრდება.

შარშან კარგი მოსავალი მივიღეთ—ჰექტარზე 40 ცენტნერის ნაცვლად 41 ცენტნერი ყურძენი. წელს ეს აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვიკისრეთ მოსავალი 10 პროცენტით გავადიდოთ და ყველაფერს ვაკეთებთ ამ ვალდებულების შესასრულებლად.

საკუთარი პროდუქციის გადამუშავების გარდა ჩვენ სხვა მოვალეობაც გვაკისრია. საბჭოთა მეურნეობის საწარმოებში უნდა გადამუშავდეს ახლო მდებარე კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ყურძენი. ამ სამუშაოს შესრულებისათვის მეორნეობას ყველა პირობა აქვს. მას ჰყავს მოწინავე ადამიანები, რომლებიც გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მეურნეობის სტახანოველი შეკენახე ბ. ხუციძე საუკეთესოდ ხელმძღვანელობს თავის ბრიგადას, რომელიც გეგმებს 130-150 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე მ. ჯანელიძე და ე. ენდელაძე. ისინი გეგმებს 220-260 პროცენტით ანაღდებენ.

მეკასრე-ბრიგადირი ი. კოჩიავარი და სტახანოველი სერი გეგმის 250 პროცენტს იძლევიან. დაუღალავი მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ ი. გოგიჩაძე, ტ. გუმბერიძე და შ. გიორგიძე.

მეურნეობის მოწინავე ადამიანების, სპეციალისტების, სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით შარშან მეურნეობამ შესძლო 107,5 პროცენტით შეესრულებინა დავროვების გეგმა, შეეტანირებინა დანაკარგები, 17,8 ჰექტარზე გაეშენებინა დამხმარე მეურნეობა, 3,6 პროცენტით შეემცირებინა ყურძნის ფეითფიერებულება და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 184,3 პროცენტით გაეღიდებინა. ასეთი მუშაობის შედეგად საბჭოთა მეურნეობამ მიიღო 725,6 ათასი მანეთის ეკონომია, რაც მეურნეობას საგსებით რენტაბელურს ხდის.

პირობას ვიძლევით, რომ მიმდინარე წელს უფრო მეტ ყურძენს და ხარისხოვან ღვინოს მივცემთ ქვეყანას, უფრო მეტად შევუწყობთ ხელს გმირ წითელ არმიას ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარებაში.

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲠᲩᲐᲕᲐ

საბჭოთა მეურნეობის ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა 21 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. დათესილი 1.655 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.650 ჰექტარისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ᲓᲔᲕᲘᲫᲔ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ᲛᲘᲥᲐᲫᲔ

მაიაკოვსკის რაიონი. ვაზის აკვრა ვარციხის საბჭოთა მეურნეობასა და სოფელ ვარციხის კოლმეურნეობა „წინსვლაში“. მარცხნივ: საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მუშა მარო ჯანელიძე, მარჯვნივ: კოლმეურნეობის მევენახეობის მედალოსანი ბრიგადირი ვლადიმერ არშილავა და სტახანოველი კოლმეურნე სილიბისტრო ტყემალაძე. ფოტო რ. აკოფოვისა

სასახელო შრომის დღიური

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ᲜᲐᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐ-ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ტყავეფხსაცმლის კომბინატში ახალი შრომითი აღმავლობაა. ახალგაზრდათა ფრონტელ ბრიგადაში, რომელსაც სტახანოველი ქალი ამხ. ლ. კიკვიძე ხელმძღვანელობს, 18-ის ნაცვლად 10 კაცი მუშაობს და ბრიგადა გეგმას მაინც გადაჭარბებით ასრულებს. ფეხსაცმლის მკერავი ზ. სმოლკინა გეგმას ანაღდებს 360 პროცენტით. მეორე ახალგაზრდულ ბრიგადაში 12-ის ნაცვლად 10 მუშაა და თვითეული მათგანი აჭარბებს დღიურ ნორმას. მაგალითად, ამხ. ნ. შაროვა გეგმას სისტემატურად 325 პროცენტით ასრულებს, მ. ჯალაბაძე—140 პროცენტით.

კარგად მუშაობს აგრეთვე მესამე ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ამხ. ნ. გეგია ხელმძღვანელობს.

კომბინატის რამდენიმე საამქრო ერთმანეთს პირველობაში ეჯიბრება. საამქროთა შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა.

ნ. ᲙᲝᲕᲖᲘᲠᲘᲫᲔ

ᲥᲘᲛᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის წარმატებით იბრძვის თბილისის ქიმკომბინატის კოლექტივი.

ქიმკომბინატელებმა (დირექტორი ამხ. გრ. ბერაძე) აპრილის ორი დეკადის საწარმოო დავალებები 104,6 პროცენტით შეასრულეს. აპრილის მესამე დეკადაში საამქროებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა სპინის სახარშავი საამქრო, რომელიც გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად იძლევა 4.000 ცალ ხელის საპონს. წინ მიდის აგრეთვე საფქვავი საამქრო, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 140 პროცენტით ასრულებს.

Ზ. ᲮᲔᲜᲒᲐᲕᲐ

ᲙᲘᲠᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲖᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ პირველი კვარტალის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა აპრილის გეგმა ორი დღით ადრე შეასრულოს, გაადიდოს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება 5 პროცენტით და დაზოგოს 50.000 მანეთის ნედლეული.

კიროველები ამ ვალდებულებებს საქმით ახორციელებენ. აპრილის პირველი დეკადის გეგმა შესრულებულ იქნა 105,4 პროცენტით. აპრილის მეორე დეკადაში ფაბრიკის კოლექტივი კიდევ უფრო თავდადებით იბრძოდა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადები, რომელთაც ხელმძღვანელობენ კ. ასათიანი, ც. ყიფიანი და ვ. ზვიადაძე, ყოველდღიურ გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებენ.

განსაკუთრებით ისახელა თავი იმ საამქროს კოლექტივმა, რომლის უფროსად არის ამხ. ფ. ბაღდავაძე. აპრილის პირველი ნახევრის გეგმა ამ საამქრომ 131 პროცენტით შეასრულა. სტახანოველები ამხ. ნ. მეტრეველი, ე. აფხაიძე, პ. კუპუხიძე, თ. გურეშიძე და თ. ჯიბახაძე სამმაგად და უფრო მეტადაც ანაღდებენ დღიურ დავალებებს.

კიროველები მთელი ენერგიით იბრძვიან საპირველმაისო ვალდებულებათა განხორციელებისათვის.



თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე, სტახანოველი ვ. სვანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ᲞᲣᲜᲯᲘᲡ ᲯᲘᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთელ რიგ საწარმოებს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის ფულადი ჯილდოები მიეცათ.

თბილისის მაცივრის კომბინატმა (დირექტორი ამხ. რისმანი) მიიღო 20.000 მანეთი, ახალქალაქის ცხოველმზადების რაიონულმა კანტორამ — 3.000, ფოთის მაცივარმა — 7.000 და ახალციხის ცხოველმზადების რაიონულმა კანტორამ—2.000 მანეთი.

ᲓᲐᲗᲥᲛᲣᲚ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ 5 ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

„თბილხლბოსტანეკრობის“ კომბინატის კოლექტივმა საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა მიმდინარე თვის საწარმოო გეგმის შესრულება 25 აპრილისათვის.

კომბინატში ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სახარშავმა საამქრომ (უფროსი ამხ. ჯოხაძე). კომბინატის კოლექტივმა აპრილის საწარმოო დავალება დათქმულ ვადაზე 5 დღით ადრე—20 აპრილისთვის 131,1 პროცენტით შეასრულა.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲚᲐᲠᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონელი მეტალურგები ყოველნაირად ეხმარებიან ლიპეცკის ფეროშენადნობთა ქარხანას. მათ დაამზადეს სადნობი ღუმელების ელექტროდების დამკერი მოწყობილობა—30 სანტიმეტრი ყმა.

ქარხნის მუშაკები სერიოზულ დახმარებას უწევენ აგრეთვე აქტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს. ამ ქარხანას ყოველთვიურად გაეგზავნება დიდძალი ელექტროდები.

სადნობი ღუმელების მოწყობილობებს და სხვა დანადგარებს ამზადებენ აგრეთვე ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნისათვის, რომელსაც ომამდე ზესტაფონელი მეტალურგები იჯიბრებოდნენ.

ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲐᲪᲣᲠᲐ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡᲔᲑᲡ

ამერყავკასიის რკინიგზელები პირველი მაისისათვის ახალ საჩუქრებს უგზავნიან ხარკოველ თანამოძმეებს.

თბილისიდან ხარკოვში უკვე გაიგზავნა მოწყობილობით, ინსტრუმენტებითა და აპარატებით დატვირთული რამდენიმე ვაგონი.

უკვე შეგროვებულია და ამ დღეებში დაიშნულებისამებრ გაიგზავნება 5 ათასზე მეტი ცალი ტექნიკური, პოლიტიკური, მხატვრული და სამკვეთლო ლიტერატურა. გასაგზავნ საჩუქრებს შორის არის სურათები, ბიუსტები, პორტრეტები და საკლუბო მოწყობილობა.

თბილისის ელექტროდეპო. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი სტახანოველი ბ. ლაცაბაძე და სტახანოველი ი. ცხვარაძე, რომლებიც საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲣᲑᲐᲜᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტში ქვანახშირის ამოღების გადიდების ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს პირველ საეკსპლოატაციო უბანს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამთო ტექნიკოსი ამხ. ნ. ცერცვაძე. ეს უბანი შახტის ძირითად უბანად ითვლება. უბანში გამართულია ქვანახშირის საეკსპლოატაციო მძლავრი ლავი. აქვთ გამყელავი მანქანა, რომელსაც რამდენიმე საათში შეუძლია მთელი ლავის გაყელვა და სანგრევში ჩამოყრა. ქვანახშირის ლავი იმდენად დაქანებულია, რომ ფურცლოვანი რკინის ღარებზე დაყრილი ქვანახშირი თავისით ეშვება ძირს და იტვირთება ვაგონებში.

მაგრამ ცერცვაძის უბანი გეგმას მაინც ვერ ასრულებს. აპრილის 17 დღეში უბანმა ქვეყანას დააკლო 370 ტონა ქვანახშირი. ნ. ცერცვაძე რამდენიმე წელია უბნის უფროსად მუშაობს, მაგრამ გეგმებს იშვიათად ასრულებს. 1943 წლის განმავლობაში მან გეგმა მხოლოდ ორჯერ — მარტში და აგვისტოში — შეასრულა. დანარჩენ 10 თვეში კი 9.022 ტონა ქვანახშირი დაგვაკლო. ასევე ამა. წლის პირველ კვარტალში უბანმა 1.128 ტონა ქვანახშირი დაგვაკლო.

სამამულო ომის ვითარებაში ქვეყნისათვის 10.150 ტონა ქვანახშირის დაკლება უბნის კოლექტივის, პირველ რიგში უბნის უფროსის ირა მარტო სამარ ცხვინო ლაქა, არამედ დანაშაულიცაა.

უბნის უფროსი ნ. ცერცვაძე აცხადებს, რომ მას არა ჰყავს საკმაო მუშახელი, მაგრამ არსებითად ასე როდია. შახტს მუშები გეგმაზე მეტიც ჰყავს. სამამულო ომის დროს ბევრი ახალი მუშა მოვიდა ტყიბულის შახტებში სამუშაოდ. შახტის ხელმძღვანელობას, ხელახლა უნდა დაეკომპლექტებინა ცერცვაძის უბანი საკმაო მუშახელით, მაგრამ ეს არ მოეხდარა. თუმცაღა ეს როდი ჩაითვლება უბნის გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად. 1943 წელს ცერცვაძის უბანს მუშები გეგმაზე მეტიც ჰყავდა, მაგრამ დავალება მაინც არ სრულდებოდა, რადგან თითო მუშაზს საშუალო გამომუშავების ნორმა მხოლოდ 61,2 პროცენტით სრულდებოდა. ნაწილობრივ ასე იყო ამა წლის პირველ კვარტალში, ასეა ამჟამადაც. ახლაც უბანში ნორმას ვერ ასრულებს 15 კაცი. დავალებას არც ათისთავები ასრულებენ. შარშან ცვლამ, რომელსაც პ. სოფრომაძე ხელმძღვანელობს, 6.689 ტონის ნაცვლად მხოლოდ 4.093 ტონა ქვანახშირი მოგვცა, ხოლო ამა წლის პირველ კვარტალში ათისთავ კ. დიაკონიძის ცვლამ დაგვაკლო 532 ტონა ქვანახშირი. ასე იყო აპრილის განვლილ დღეებშიც.

პირველ უბანში გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია: შრომის დისციპლინის შესუსტება, შრომის არასწორი ორგანიზაცია, მეშახტეებისათვის ცარიელი ვაგონების, ბიგების და ხელსაწყო-იარაღების საკმაო რაოდენობით მიუწოდებლობა. ამის გამო, რომ უბანში მომუშავენი ვერ ასრულებენ ნორმებს და ცდილობენ იმ უბნებში გადასვლას, სადაც კარგად არის დაყენებული უბნისა და ცვლის ხელმძღვანელობა.

უბნის ცუდი ხელმძღვანელობის შედეგი, რომ დანაშაულებრივად ჭიანურდება შესანიშნავი ლავის დამუშავება, ათასობით ტონა ქვანახშირი აკლდება საშობლოს, ფაბრიკა-ქარხნებს.

საჭიროა სერიოზული ღონისძიებები განხორციელდეს ლენინის სახელობის შახტის პირველი საეკსპლოატაციო უბნის ხელმძღვანელობის წამყვანად გაუმჯობესებისათვის.

Დ. ᲡᲐᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Კ. ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘ

ᲛᲫᲦᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ

არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც ინგლისის პროგრესიული პრესა სწერდა, რომ დაუშვებელია ინგლისში ისეთ გამოცემათა არსებობა, როგორიც არის გაზეთი „ვიადომოსი პოლსკი“, — ლონდონში მყოფი პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის გარშემო დაჯგუფებულ აღვირახსნილ რეაქციონერთა ორგანო. როგორც ცნობილია, ეს გაზეთი თავისი სტატიების შინაარსისა და მაფი ტონის მიხედვით ბევრით არაფრით განსხვავდებოდა გერმანელ ფაშისტთა გამოცემებისაგან.

ინგლისელმა პროგრესიულმა ჟურნალისტებმა, რომლებიც მოითხოვდნენ გაზეთ „ვიადომოსი პოლსკის“ გამოსვლის შეწყვეტას, ძალიან კარგად იციან, თუ რაში მდგომარეობს პრესის თავისუფლება, და უეჭველია, დიდად აფასებენ პრესის თავისუფლებას ინგლისში. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, მათ სავსებით შეგნებული აქვთ, რომ აშკარა წინააღმდეგობა არსებობს ჰიტლერულ გერმანიასთან ომის დღეებში ინგლისური პრესის წინაშე მდგომ ამოცანებსა და ლონდონში იმ გაზეთის თავისუფლად გამოცემას შორის, რომელიც ცდილობს უთანხმობა შეიტანოს ანტიჰიტლერული კოალიციის ბანაკში. სავსებით ცხადია, რომ პრესის თავისუფლება არ შეიძლება იყოს მტრული პრესის თავისუფლება. როგორც სჩანს, ინგლისის ხელისუფლებამ ანგარიში გაუწიეს ინგლისის საზოგადოების პატრიოტულ აღშფოთებას აშკარად პროფაშისტური პროპაგანდის წინააღმდეგ და მიიღეს ზომები პოლონური გაზეთის „ვიადომოსი პოლსკის“ დასახურავად. ამ გადაწყვეტილებას ინგლისის საზოგადოებრიობის ფართო წრეები კმაყოფილებით შეხვდნენ.

ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება არ მოეწონა პოლონელ ჟურნალისტთა გარკვეულ წრეს. არიან რა მთელი თავისი საგაზეთო ბუნებით აღნაგობით, მთელი თავისი მიდრეკილებებითა და სიმპატიებით, მთელი თავისი წარსული რეაქციული რეჟიმის მომხრენი, მათ გაზეთ „ვიადომოსიცი პოლსკის“ გამოსვლის იძულებით შეწყვეტასთან დაკავშირებით ეგირალი ასტეხეს „პრესის თავისუფლების“ დრეიფეის შესახებ. მართლაც აქამდე ისინი ინგლისში თავს სავსებით „თავისუფლად“ გრძნობდნენ, მსგავსად იმ ზოოლოგიური პენსიონატისა, რომელიც მაგიდასთან დასხეს, მან კი მაგიდაზე დაალაგა წინა და უკანა ფეხებიც. პოლონელი ფაშისტი პუბლიცისტები, რომლებმაც ემიგრაციაში შეინარჩუნეს ჰიტლერული აგენტის პან ბეკის დროინდელი ეფარშავის საგაზეთო დაწესებულებათა ყველა ჩვეულება, დაუსჯელად სარგებლობდნენ ლონდონში პროფაშისტური ცილისწამების სრული თავისუფლებით. ისინი სრულიადაც არ მალავდნენ თავიანთ ძირითადს სურვილს ჩაეშალათ ანტიჰიტლერული კოალიციის ერთიანობა—ჰიტლერის გულის მოსაგებად და სასარგებლოდ. გაზეთი „ვიადომოსიცი პოლსკი“ რომ დაპკარგეს, პოლონელმა პროჰიტლერულმა ჟურნალისტებმა საჩივრებით მიმართეს ინგლისის სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. ამ ელემენტებს ჭიანს უფერს სულიერად მათი მონათესავე ზოგიერთი ინგლისური წრე.

უეჭველია, იმის პირობებში პრესის თავისუფლების საკითხი აქტუალურ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, როგორი სახის არის საერთოდ პრესის თავისუფლება ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებში მშვიდობიანობის დროს. ცნობილია, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს ამ ქვეყნებში. არიან ადამიანები, რომლებიც შორს დგანან მემარცხენე, რადიკალური შეხედულებებიდან — და მაინც ფიქრობენ, რომ თანამედროვე საზოგადოების პირობებში პრესის თავისუფლება იქცა დიდ კაპიტალისტურ საგაზეთო საწარმოთა თავისუფლებად—გააყალბონ საზოგადოებრივი აზრი. ვისაც კარგი მეხსიერება აქვს, იგი გაიხსენებს ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბოლდუინის უაღრესად ენერგიულ გამოჭერებს ამ საკითხზე. მაგრამ ისინიც კი, ვინც მშვიდობიანობის დროს გულუბრყვილოდ დარწმუნებული იყო, თითქოს ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ქვეყნებში პრესის სრული თავისუფლება არსებობს, არასოდეს არ მისულან იქამდე, რომ პრესის თავისუფლებით სარგებლობის საშუალება მიეცათ სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის, მაგალითად, ეცეხლგამძლე ყუთების გატეხის საუკეთესო ხერხის პროპაგანდის გასაწევად.

ომის დროს პრესის თავისუფლება ყველგან გარკვეულ შეზღუდვას განიცდის იგი დაქვემდებარებული სამხედრო ცენზურას. ეს გამართლებულია სამხედრო საიდუმლოს ოაცვის უეჭველშენელოვანესი ამოცანებით. მაგრამ დაზვერვა გულმოდგინედ [illegible] ინფორმაციას ეძიებს [illegible] ფაშისტურს მეომარი ქვეყნების [illegible] ესას. ცნობილია, როგორი ზიანი მოაქვს ომის ვითარებაში ლაყბობას, რომელიც ხელს უწყობს მტერს.

მაგრამ საშხედრო საიდუმლოს ცნება — ეს უბრალო რამ კი არ არის, ორამედ საკმაოდ რთული ცნებაა. დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც კანონით არსებობს პრესის თავისუფლება, ომის დროს ბეჭდვითს სიტყვას ისეთი პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ მტერზე გამარჯვების ინტერესებისათვის ეს სიტყვა არ შეიძლება მიეცეთ მტრის თანამგრძნობ და მისი ინტერესების დამცველ ადამიანებს.

საქმე მარტო ლაყბობაში და სენსაციების სიყვარულში კი არ არის, რითაც დაავადებულია ახალი ამბებით მოვაჭრე უცხოეთის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი. კიდევ უფრო მეტად საქმე იმაშია, რომ ჰიტლერელი აგენტები არაფითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ დემოკრატიული ქვეყნების პრესა. ნეიტრალურ ქვეყნებზე ლაპარაკიც ზედმეტია. აქ ჰიტლერელთა მიერ გაზეთების მოსყიდვამ ყველაზე უფრო ფართო ხასიათი მიიღო. იქ ეს აშკარად და უბოდიშოდ ხდება.

ვისთვის არ არის ცნობილი თურქეთის ზოგიერთი გამოცემის ნამდვილი სახე? ამას წინათ თურქეთში დახურეს გაზეთი „ტიურკეშე პოსტი“. იგი გერმანულ ენაზე გამოდიოდა, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს „დამოუკიდებელ

დეკეფეზი

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობისათვის

გამოსვლა ამხ. ა. ი. ვიშინსკის განცხადების გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გამართულ პრეს-კონფერენციაზე

ლონდონი, 23 აპრილი (საკდესი). ლონდონის კვირა დილის გაზეთები მანამდე გამოვიდა, სანამ მიღებული იქნებოდა ცნობები საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკის განცხადების შესახებ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შესახებ, რაც მან გააკეთა პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. მაგრამ ამ განცხადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლონდონის რადიო, რომელმაც იგი რამდენჯერმე გადასცა. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს თავისი მოსკოველი სპეციალური კორესპონდენტის ანგარიშს ა. ი. ვიშინსკის მიერ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების შესახებ.

რეიტერის სააგენტის დიპლომატიური მიმომხილველი რენდელ ნილი ა. ი. ვიშინსკის გამოსვლას უძღვნის კომენტარიებს, რომლებშიც ნათქვამია:

დროებითი ზავის დადების საკითხზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკების გაწყვეტა ახლა ოფიციალურია, მაგრამ ეს გაკვრივებას როდი იწვევს, ყოველ შემთხვევაში ინგლისის მთავრობაში, რომელსაც მოსკოვი მუდამ აწვდიდა ცნობებს მოლაპარაკების შესახებ. კვალიფიციურ ინგლისელ და უცხოელ მეთვალყურეს ფინეთის მთავრობის პასუხში ის აოცებს, რომ იგი თავიდანვე სავსებით უარჰყოფს საბჭოთა პირობებს.

საბჭოთა მთავრობამ, სწერს შემდეგ მიმომხილველი, დაუღალავი მოთმინება გამოიჩინა მოლაპარაკების განმავლობაში, რამაც ორ თვეს გასტანა. საკვირველია, რომ ახლა მისი მოთმინება იმ ნაწილში, სადაც საქმე ეხება ფინეთს, გამოილია. ფინეთის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ის პირობები, რომელთა განხორციელება ახალ მსხვერპლს მოსთხოვს საბჭოთა მთავრობას ადამიანთა და მატერიალურ საშუალებათა მხრივ, ისე ლიბერალური აღარ იქნება, როგორც ის პირობები, რომლებზე შეთანხმებაც შესაძლებელი იყო.

ლონდონი, 23 აპრილი (საკდესი). აფის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი ა. ი. ვიშინსკის მიერ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების შინაარსის გადმოცემის შემდეგ სწერს, რომ საეჭვოა ფინეთის მთავრობის უარი საბჭოთა წინადადებების მიღებაზე სტოვებდეს შანსებს ახალი მოლაპარაკებისათვის.

ნიუ-იორკი, 23 აპრილი (საკდესი). ამერიკის პრესამ თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ამხ. ა. ი. ვიშინსკის განცხადება პრეს-კონფერენციაზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ქვეკომისიის წევრთა წინადადება

ნიუ-იორკი, 22 აპრილი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, წარმომადგენელთა პალატის სამხედრო-საზღვაო საქმეთა ქვეკომისიის წევრებმა, რომლებმაც ამასწინათ შემოიარეს ამერიკის ბაზები კარიბის ზღვაში, წინადადება წამოაყენეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადონ მიიღონ ინგლისის ამ რვა ბაზის მუდმივი მფლობელობის უფლება, რომლებიც შეერთებულ შტატებს იჯარით გადაეცა 99 წლით.

ლონდონი, 22 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბლუმმა გადაჭრით გაილაშქრა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მუდმივ სამფლობელოდ მიიღოს ინგლისის ის ბაზები, რომლებიც ინგლისმა იჯარით გადასცა შეერთებულ შტატებს. ბლუმის სიტყვით, ამ საკითხის წამოყენება ჯერ კიდევ მეტად ნაადრევია. „იმ დროისათვის, როდესაც იჯარის ვადა გავა, შესაძლოა, ეს ბაზები აღარც დაგვჭირდეს. საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე ინგლისს დახმარებას რომ ვუწევთ, ამას მხოლოდ იმისათვის ჩავდიგართ, რომ მას შეეძლოს იბრძოლოს ჩვენთვის. ჩვენ ომი უნდა მოვიგოთ, და ახლა ამ საკითხების პირველ პლანზე წამოყენების დრო არ არის“.

სენატის ქვეკომისიის დანიშვნა ომის შემდგომი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის გეგმის განსახილველად ჰელთან ერთად

ვაშინგტონი, 23 აპრილი (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კონლიმ დანიშნა ქვეკომისია რვა წევრის შემადგენლობით. ეს ქვეკომისია უნდა ეთათბიროს სახელმწიფო მდივან ჰელს ომისშემდგომი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის გეგმების შესახებ.

ამერიკელი კორესპონდენტი გერმანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ოტავა, 23 აპრილი (საკდესი). გაზეთმა „გლობ ენდ მეილმა“ (ვამდის ტორონტში) 21 აპრილს გამოაქვეყნა იუნაიტედ პრესის სააგენტოს თანამშრომელ ჰეინცენის ცნობა. ჰეინცენი 25 წლის განმავლობაში კორესპონდენტად იყო საფრანგეთში და უკანასკნელი 13 თვე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში დაჰყო, რის შემდეგ რეპატრიირებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჰეინცენმა განაცხადა, რომ მოკავშირეებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ გერმანიას საჰაერო დაბომბვათა შედეგად დაამარცხებენ. გერმანიის საბოლოო განადგურების მიზეზად ჰეინცენ მიაჩნია ის, რომ ეფრანეთში ბრძოლა ადრე დაიწყო, ვიდრე ინგლისელებმა ამერიკელებთან ერთად ევროპის ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყეს. ჰეინცენის ფიქრით, ინგლისელებმა ამერიკელებთან ერთად ევროპის ციხესიმაგრეს ალყა ადრე ან 1942 წელს, ან 1943 წლის ადრეულ პერიოდში, ანუ ეს ალყა ერთ-ორ წელიწადზე ადრე, ვიდრე ეს ალყა ამჟამად ხორციელდება, ეფექტიანი ყოფილიყო. ამ ალყის ეფექტიანობა ეჭვქეშ დააყენა ის ფაქტი, რომ ინგლისელებმა ალყა ვერ ერეკეს ბრესტიდან, ლორიანიდან, სენ-ნაზერიდან, ბოლონიდან, ბორდოდან, ლა-პალისიდან, ანგოლიანიდან, ბიარიციდან, ბაიონიდან, ტულონიდან, ბრეტანიიდან, ანტიბიდან, ბელფორიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან, ბალტიკის ზღვის ნავსადგურებიდან, ბალკანეთიდან, ეგეოსის ზღვიდან, ბალეარიდან, ბალეარ კუნძულებიდან, ბალეარ ზღვიდან, ბალეარ ზღვის ნავსადგურებიდან, ბალეარ ზღვის ნავსადგურებიდან, ბალეარ ზღვის ნავსადგურებ